საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1815
11.11.2026

ბრძანება

1815-01-4-202611111317

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 24 აგვისტოს N 04/1353 ბრძანების შესაბამისად შპს „ელექტრიფაი საქართველოს“ (ს/ნ 405663802) მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო ჯარიმის დაკისრების თაობაზე

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) მოქალაქე) 2025 წლის 04 ნოემბრის N01/6731 განცხადების საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 ნოემბრის N 04/1348 ბრძანების თანახმად, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის შპს „ელექტრიფაი საქართველოს“ (ს/ნ 405663802) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

1.2. „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 ნოემბრის №04/1348 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 24 აგვისტოს N04/1353 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დადასტურდა მოვაჭრის შპს „ელექტრიფაი საქართველოს“ (ს/ნ 405663802) მიერ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „მ“ ქვეპუნქტების, აგრეთვე 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, მოვაჭრეს დაევალა მომხმარებელთა დარღვეული უფლებების აღდგენა, ასევე თავისი სავაჭრო პოლიტიკის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

1.3. სააგენტოს 2026 წლის 25 აგვისტოს N 02/5770 წერილით მოვაჭრეს გაეგზავნა ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება სააგენტოსთვის ცნობილ მისამართზე

(ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიგა ჯაფარიძის ქ. №24, ბ. №204) და ელექტრონულ ფოსტაზე. მოვაჭრემ ბრძანების მიღება დაადასტურა 2026 წლის 03 სექტემბრის N01/8025 წერილით.

1.4. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოვაჭრე ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში (2026 წლის 09 ოქტომბრის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის.

1.5. მოვაჭრემ 2026 წლის 22 სექტემბრის N01/8511 წერილით სააგენტოს წარუდგინა განახლებული წესები და პირობები, თუმცა ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოუდგენია მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენის (ზიანის ანაზღაურების) დამადასტურებელი მტკიცებულება. ამდენად, მოვაჭრემ ბრძანებით დაკისრებული ვალდებულებები სრულად არ შეასრულა.

1.6. წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვა შეადგენს **ლარს**.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მოვაჭრეს. თუ მოვაჭრისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ განხორციელდა ამ წესის მე-16 მუხლით დადგენილი ფორმით, გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

2.2. კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

2.3. კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა.

2.4. კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

2.5. კანონის 34-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

2.6. პროცედურის მე-18 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები. კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესი მტკიცდება სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2.7. სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 30 სექტემბრის №04/945 ბრძანებით დამტკიცებული „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის (შემდგომში - წესი) მე-3 მუხლის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. სააგენტოს მიერ გამოყენებული ჯარიმა უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და პრევენციული. ჯარიმის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პირის ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს. პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მის კომერციულ საქმიანობას. ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

2.8. წესის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პირს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში პირის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, მოვაჭრისთვის ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 600 ლარზე ნაკლები.

2.9. წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობა გამოითვლება სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში პირის წლიური ბრუნვიდან, ხოლო, თუ პირი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ჩაითვლება ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წელი და ჯარიმის გამოთვლა განხორციელდება პირის რეგისტრაციიდან სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში მიღებული ბრუნვიდან.

2.10. წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოვაჭრე ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში ეცნობებინა სააგენტოსთვის. მოვაჭრემ 2026 წლის 22 სექტემბრის N01/8511 წერილით წარმოადგინა მხოლოდ განახლებული წესები და პირობები, რაც ბრძანების მე-3 პუნქტით დაკისრებული ვალდებულების ერთ ნაწილს, სავაჭრო პოლიტიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანას, უკავშირდება. წარდგენილი რედაქციის ანალიზით დგინდება, რომ ის ბრძანების მე-3 პუნქტით დაკისრებულ ვალდებულებას, სავაჭრო პოლიტიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანას, სრულად არ აკმაყოფილებს. რედაქციაში კვლავ გვხვდება დებულებები, რომლებიც მომხმარებლის უფლებას ზღუდავს ან ორაზროვანია. ამავე პუნქტით დაკისრებული მეორე ვალდებულება, მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენა, შესრულებული არ არის და მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მომხმარებლის დაკმაყოფილების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამასთან, მოვაჭრეს არ მოუთხოვია ვადის გაგრძელება და არ შეუტყობინებია სააგენტოსთვის შესრულების შემაფერხებელი საპატიო მიზეზ(ებ)ის არსებობის თაობაზე. შესაბამისად, სახეზეა ბრძანების არაჯეროვნად შესრულება კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის გაგებით.

3.2. კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3.3. წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

3.4. მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის მასშტაბის განსაზღვრისას, სააგენტო ითვალისწინებს დარღვევის გეოგრაფიულ და შინაარსობრივ მასშტაბებს - დარღვევა მოხდა ადგილობრივად (ლოკალურად, მხოლოდ ერთ რეგიონში) თუ ქვეყნის მასშტაბით და იმ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ან/და შესაძლოა მოახდინოს დარღვევის შედეგებმა (დარღვევა ვრცელდება ძალიან ვიწრო წრეზე თუ ფართო წრეზე). განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრე

ელექტრომობილების დამუხტვის მომსახურებას ახორციელებს თბილისსა და რეგიონებში განთავსებული სწრაფი დამტენი სადგურების ქსელის მეშვეობით. მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მოვაჭრის მობილური აპლიკაციის მეშვეობით, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია iOS და Android პლატფორმებზე, ხოლო ხელშეკრულება მომხმარებელთან იდება დისტანციურად, აპლიკაციაში რეგისტრაციითა და „გენერალურ წესებსა და პირობებზე“ დათანხმებით. ამდენად, პოტენციური მომხმარებლების აუდიტორიას წარმოადგენს ელექტრომობილის ნებისმიერი მფლობელი ან მოსარგებლე საქართველოს მასშტაბით. ბრძანებით დადგენილი ინფორმაციული ხარვეზები და უსამართლო სტანდარტული პირობები (3.1.4, 4.4.4 და 6.2 პუნქტები) ერთნაირად ვრცელდებოდა ყველა რეგისტრირებულ მომხმარებელზე, მიუხედავად იმისა, რომელ სადგურს იყენებდა იგი, ხოლო ელექტრომობილების ბაზრის ზრდასთან ერთად მოვაჭრის მომხმარებელთა წრე მზარდია. ამრიგად, კანონთან შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკის არარსებობა გავლენას ახდენდა არა ერთი კონკრეტული მომხმარებლის უფლებებზე, არამედ ყველა პოტენციურ მომხმარებელზე და, შესაბამისად, დარღვევა ხორციელდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, მისი დამტენები განთავსებულია საქართველოს ყველა რეგიონში (იხ. ბმული: https://electrify.ge), ხოლო მოვაჭრის აპლიკაცია „Electrify Georgia EV Chargers“ App Store-სა და Google Play-ზე 2024 წლიდან არის ხელმისაწვდომი. მასშტაბის შეფასებისას, სააგენტომ მხედველობაში უნდა მიიღოს აღნიშნული გარემოება და **დარღვევის მასშტაბის კოეფიციენტი - L შეფასდეს %-ით.**

3.5. მოვაჭრის მიერ დარღვევის ხასიათის შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, დარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. მოცემულ შემთხვევაში, მომხმარებელმა ინციდენტის შესახებ მოვაჭრეს დაუყოვნებლივ აცნობა და მისივე მითითებით წარუდგინა „VW“-ის ოფიციალური სერვის ცენტრის დიაგნოსტიკის შედეგები, თუმცა მოვაჭრემ ზიანის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა „გენერალური წესებისა და პირობების“ 4.4.4 პუნქტზე დაყრდნობით და მომხმარებელს მხოლოდ ფორმალური ბოდიში და 100-ლარიანი ვაუჩერი შესთავაზა. საქმის შესწავლის ეტაპზე მოვაჭრის პოზიცია, რომ დატენვა ელექტრომობილის მხრიდან შეწყდა, მისივე ლოგ-ჩანაწერებით ვერ დადასტურდა, ვინაიდან ხარვეზის (CP 0V) დაფიქსირების მომენტში ჩანაწერი 273.2 A დენის მიწოდებას ასახავდა, ხოლო სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სრული და დაუმუშავებელი ჩანაწერების ნაცვლად მოვაჭრემ 2026 წლის 12 ივნისის N01/5401 წერილით ხელახლა წარმოადგინა საქმეში უკვე არსებული ცხრილი. ბრძანებით კანონის დარღვევის დადასტურების შემდეგ მოვაჭრემ 2026 წლის 22 სექტემბრის

N01/8511 წერილით წარმოადგინა მხოლოდ განახლებული წესები და პირობები, რომელიც ნაწილობრივ შესაბამისობაშია კანონთან, ხოლო მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანი არ აუნაზღაურებია და მომხმარებლის დაკმაყოფილების დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ამდენად, მოვაჭრემ შეასრულა ბრძანების ის ნაწილი, რომელიც დოკუმენტის ტექსტის შეცვლას მოითხოვდა, ხოლო არ შეასრულა ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენას და ფინანსურ ხარჯს უკავშირდება, რაც შეგნებულ არჩევანზე მიუთითებს. მოვაჭრე საქმის შესწავლაში აქტიურად მონაწილეობდა, შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო როგორც დადგენილი დარღვევების შინაარსი, ისე მათი აღმოფხვრის გზები. ასევე, მოვაჭრეს არც სააგენტოსთვის და არც მომხმარებლისთვის არ წარუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას, რომელმაც შეუძლებელი გახადა ბრძანების სრულად შესრულება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ მოვაჭრეს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების/უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. შესაბამისად, **ჯარიმის განმსაზღვრელი ფორმულის კრიტერიუმი, დარღვევის ხასიათი - N უნდა შეფასდეს წინა წლის წლიური ბრუნვი %-ის ოდენობით.**

3.6. მოვაჭრის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმის შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ინტენსივობას; ბ) დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის სახეს (ქონებრივი); გ) ზიანის ოდენობას; დ) არიან თუ არა დაზარალებულები მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები; ე) მოვაჭრე მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად. განსახილველ შემთხვევაში, ბრძანებით დადგინდა დარღვევების ერთობლიობა. პირველი, მოვაჭრე ხელშეკრულების დადებამდე არ აწვდიდა კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, მათ შორის მომსახურების არსებითი მახასიათებლების, მოვაჭრის უტყუარი საკონტაქტო მონაცემების, მომსახურების საფასურისა და მისი გამოთვლის წესის, მოთხოვნის განხილვის წესის, კანონისმიერი გარანტიის, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის, აგრეთვე აპლიკაციის ფუნქციური მახასიათებლების შესახებ. მეორე, მოვაჭრემ 2025 წლის 10 აგვისტოს გაწია ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამო მომსახურება (კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი), რის შედეგადაც მომხმარებლის ავტომობილს დაუზიანდა მაღალი ძაბვის დამტენის როზეტი და მაღალი ძაბვის დატენვის აკუმულატორის მოდული, ხოლო ქონებრივი ზიანი დაახლოებით 1200 აშშ დოლარს შეადგენს. მესამე, „გენერალური წესებისა და პირობების“ 3.1.4 და 4.4.4 პუნქტებით მოვაჭრე წინასწარ გამორიცხავდა პასუხისმგებლობას მესამე პირის მიერ მომხმარებლის ანგარიშზე წვდომით, აგრეთვე დენის ან ძაბვის ცვალებადობითა და სხვა ტექნიკური ხარვეზით ავტომობილისთვის მიყენებულ ზიანზე, ანუ სწორედ იმ რისკზე, რომელიც დამუხტვის მომსახურებისთვის ყველაზე დამახასიათებელია, ხოლო 6.2 პუნქტით იტოვებდა

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვლის უფლებას (კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). მეოთხე, 4.4.4 პუნქტი მომხმარებელს უქმნიდა მცდარ წარმოდგენას, რომ მას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია (კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი). სწორედ ამ პუნქტზე დაყრდნობით უთხრა მოვაჭრემ განმცხადებელს ანაზღაურებაზე უარი, რაც ადასტურებს, რომ უსამართლო პირობამ რეალური ქონებრივი შედეგი გამოიწვია. სიმძიმის შეფასებისას, სააგენტომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენის დამადასტურებელი მტკიცებულება, რის გამოც მომხმარებელს ელექტრომობილის მაღალი ღირებულების კომპონენტების დაზიანებით მიყენებული ზიანი დღემდე ანაზღაურებული არ აქვს. სააგენტოს შეფასებით და სააგენტოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე მოქმედებდა მოგების მიღების და არა საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან არიდების მიზნით, ვინაიდან პასუხისმგებლობის გამომრიცხავი პირობის გამოყენება მას ზიანის ანაზღაურების ხარჯს აცილებდა. დაზარალებულ მხარეს წარმოადგენს 1 განმცხადებელი, ხოლო მოწყვლადი ჯგუფის ინტერესებზე სპეციფიკური გავლენა საქმის მასალებით არ დგინდება. შესაბამისად, **დარღვევის სიმძიმის კოეფიციენტი - M, უნდა შეფასდეს %-ით.**

3.7. მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის ხანგრძლივობის დადგენისას, სააგენტო ითვალისწინებს რამდენ ხანს გრძელდებოდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება (ან უმოქმედობა). საქმის მასალებიდან დგინდება, რომ მოვაჭრის კანონის შეუსაბამო ქმედებები ხორციელდებოდა სულ მცირე 2025 წლის 10 აგვისტოდან, როდესაც მოვაჭრემ მომხმარებელს არაჯეროვანი მომსახურება გაუწია და შემდგომ „გენერალური წესებისა და პირობების“ 4.4.4 პუნქტზე დაყრდნობით ზიანის ანაზღაურებაზე უარი უთხრა. სავაჭრო პოლიტიკის ნაწილში დარღვევა გაგრძელდა მინიმუმ 2026 წლის 22 სექტემბრამდე, როდესაც მოვაჭრემ განახლებული წესები და პირობები წარმოადგინა, ხოლო მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენის ნაწილში დარღვევა გრძელდება დღემდე, ანუ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **დარღვევის ხანგრძლივობის კრიტერიუმი - T უნდა შეფასდეს წინა წლის წლიური ბრუნვის %-ით.**

3.8. მოვაჭრის მიერ კანონის დარღვევის ფაქტების სხვა გარემოებების შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) მოვაჭრემ სცადა თუ არა სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; ბ) მოვაჭრემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით; გ) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობა; დ) მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის მრავალჯერადობა. მოვაჭრეს ზარალი ნებაყოფლობით არ აუნაზღაურებია, ხოლო 100-ლარიანი ვაუჩერის შეთავაზება მიყენებული ზიანის ოდენობასთან შეუსაბამოა და დარღვეული უფლების აღდგენად ვერ ჩაითვლება. მოვაჭრემ 2026 წლის 22 სექტემბრის N01/8511 წერილით წარმოადგინა განახლებული წესები და პირობები,

რაც დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორებას წარმოადგენს და არ მოიცავს ზიანის გამოსწორებას. საქმის შესწავლის დროს მოვაჭრე სააგენტოს წერილებს პასუხობდა, თუმცა თანამშრომლობა არასრული იყო, ვინაიდან სააგენტოს არაერთი მოთხოვნის მიუხედავად დამტენი სადგურის სრული და დაუმუშავებელი ჩანაწერები არ წარმოუდგენია, რამაც საქმის შესწავლა გაახანგრძლივა. რაც შეეხება დარღვევის მრავალჯერადობას, სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, მოვაჭრის მიერ ანალოგიური დარღვევის განმეორებით ჩადენა არ დასტურდება. შესაბამისად, ზიანის ნებაყოფლობით აუნაზღაურებლობისა და არასრული თანამშრომლობის, როგორც დამამძიმებელი გარემოებების, და სავაჭრო პოლიტიკის ნაწილობრივ გამოსწორების, როგორც შემამსუბუქებელი გარემოების, ურთიერთშეჯერებით, **კოეფიციენტი A უნდა შეფასდე %-ის შესაბამისად.**

3.9. აღსანიშნავია, რომ წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვა შეადგენს **ლარს**. ამასთან, კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. შესაბამისად, ხელმძღვანელობს რა სააგენტო „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო მოვაჭრისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესით დადგენილი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის ფორმულით B = N + T + L + M ± A, სააგენტოს მიერ მოვაჭრისათვის დაკისრებული ჯარიმა განისაზღვრა %-ის ოდენობით. **N(%) + T(%) + L(%) + M(%) + A(%) = B %)**

3.10. იმის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს და ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში არაჯეროვნად შესრულებისათვის შპს „ელექტრიფაი საქართველოსთვის“ (ს/ნ 405663802) დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა უნდა განისაზღვროს **3 233 (სამი ათას ორას ოცდაცამეტი) ლარით**.

4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-18 მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024

წლის 30 სექტემბრის №04/945 ბრძანებით დამტკიცებული „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის მე-3, მე-4 და მე-7 მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს მოვაჭრე შპს „ელექტრიფაი საქართველოს“ (ს/ნ 405663802) მიერ „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 ნოემბრის №04/1348 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 24 აგვისტოს N04/1353 ბრძანების განსაზღვრულ ვადაში არაჯეროვნად შესრულება.
2. **შპს „ელექტრიფაი საქართველოს“ (ს/ნ 405663802) დაეკისროს ჯარიმა 3 233 (სამი ათას ორას ოცდაცამეტი) ლარის ოდენობით.**
3. მოვაჭრე ვალდებულია, ჯარიმა გადაიხადოს ამ ბრძანების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
4. ჯარიმა გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. ჯარიმის დაკისრება შპს „ელექტრიფაი საქართველოს“ (ს/ნ 405663802) არ ათავისუფლებს „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 ნოემბრის №04/1348 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 24 აგვისტოს N04/1353 ბრძანების შესრულების ვალდებულებისგან.
6. ბრძანება გაეგზავნოს შპს „ელექტრიფაი საქართველოს“ (ს/ნ 405663802).
7. ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);
9. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე 